კიბერუსაფრთხოების ბიუროს დირექტორის
ბრძანება

MOD 4 23 00000023

07.04.2023

## წარმომადგენლობითი ხარჯების გაცემის შესახებ

"საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2023 წლის 14 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე - 6 მუხლის "დ" და "რ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. 2023 წლის 07 აპრილს, სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროში აშშ-ს ევროპული სარდლობის დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით, დაევალოს:

ა) სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობების სამმართველოს, დელეგაციის წევრების სადილის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება (9 პერსონა);
ბ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს, ბრძანების პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებ(ებ)ის ფინანსური უზრუნველყოფა.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64.)
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

**საჯარო სამართლის იურიდიული პირები / ს.ს.ი.პ**
**კიბერუსაფრთხოების ბიურო / მმართველობა**
**დირექტორი**
**ლუკა მგელაძე**

LEPL cyber security bureau
Digitally signed by LEPL cyber security bureau
Date: 2023.04.10 14:41:21 +04'00'